№ 112. 28 მაისი, ოთხშაბათი. 1866—1880 28 მაისი, ოთხშაბათი № 112.

რედაქცია

ყველნახშეიდანწყ., იუსაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ოთარისხის ხახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებას“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოები ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

—

(საერთაშორისო სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 26 მაისს.** დღეს დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე მობრძანდა პეტერბურღში.

მიცვალებულის იმპერატრიცის გვამი დღეს გარდაასვენეს პეტრე-პავლეს საყდარში. ამ ცერემონიაზე სხვათა შორის გერმანიის ტახტის მემკვიდრეც დაესწრო.

ევროპის უმთავრეს სახელმწიფოთა ელჩების კონფერენცია 16 ივნისისათვის არის დანიშნული ბერლინში.

### კიდევ პრიკაზის ვალზედ.

ტფილისი, 27 მაისს.

დღეს შეგვიძლიან ჩვენს მკითხველებს ნამდვილად ვაცნობოთ, რა ვადასწყვიტა მინისტრების კომიტეტმა პრიკაზის ვალის თაობაზედ და რა თვალით შეხედა ამ საქმეს.

ფინანსის მინისტრს და სახელმწიფო კონტროლერს განუმარტავთ კომიტეტისათვის, რომ ეს ვალი არის მხოლოდ სამას-ოთხასი კომლი თავად-აზნაურების და არ შეეხება საზოგადოთ თავად-აზნაურობას, რომელიც ამ რიცხვზედ ბევრად მეტიაო.

კომიტეტს მიუღია სახეში მათი აზრი და ეს საქმე უცვნია მხოლოდ პრიკაზის მოვალეთ—კერძო პირთ საქმეთ; გადაწყვეტით კი შემდეგი გადაუწყვეტია: სარგებლის სარგებელზედ შეკეცილი და ჯარიმებით შემდგარი ფული, რომელიც 300,000 მანეთზედ მეტია, ეხლავე აეხადოს მოვალეებს; სამი წელიწადი სრულებით არა გარდაეხდება და არც სარგებელი მიათვალონ. ამ სამი წლის განმავლობაში კავკასიის მთავრობამ უნდა შეჰკრიბოს ცნობები, რომელია ღირსი პატივებისა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო და თვისი გარდაწყვეტილება წარუდგინოს უმაღლესს მთავრობას. კომიტეტის გარდაწყვეტილება დიახ მოსაწონია, რადგან ყურადღება მიუქცევია იმაზედ, რომ ეს საქმე კერძო პირთ საქმეა და არა მთელის თავად-აზნაურობისა.

თუ თავად-აზნაურობა მთლად ერთიანად ითხოვს რასმეს, ისეთი რამ უნდა ითხოვოს, რომელსაც შეეძლოს მთელის საზოგადოების წინ წაწევა და ფეხზედ დაყენება.

მოსაწონია აგრეთვე ის გარდაწყვეტილება, რომ ჩვენებურმა მთავრობამ იშუამდგომლოს ყოველს განცალკევებულს შემთხვევაში უმაღლესს მთავრობასთან და ვალის პატივება ითხოვოს, მაგრამ ეს გარდაწყვეტილება უფრო მოსაწონი იქნება და სასარგებლოთაც დაბოლავდება, თუ მართლა ეს შუამდგომლობა ღირსეულს და შევიწროებულს მდგომარეობაში მყოფს გაუწიეს, თორემ ისე არ გამოვიდეს, რომ ვისაც ბევრი აქვს, მიეცეს და მიემატოსო.

მ.

### ახალი ამბები

—

ქალაქის რჩევას გუშინდელს სხდომას კიდევ მადათოვის კუნძულზედ ჰქონდა ლაპარაკი. მოგეხსენებათ, რომ გასულს ორშაბათს რჩევამ გარდაწყვიტა რომ აბ. ბებუთოვის პროექტის მიღება. დღეს, ქალაქის თავის წინადადებით, რჩევამ დაიწყო სჯა იმაზედ, თუ რამდენ ხნის განმავლობაში უნდა გაამაგრონ ამ კუნძულის ნაპირები მეპატრონეებმა.

ზოგიერთებმა გამოსთქვეს აზრი, რომ სამი წელიწადი ვადა უნდა მიეცესთ კუნძულის მეპატრონეებსო, ადრე ვერ მოასწრობენო. სხვების (მომეტებულის ნაწილის) აზრი კი ის იყო, რომ ჯერ დაწვრილებითი პროექტი უნდა შესდგეს—თუ როგორ უნდა გააკეთონ კედელი, რა სისქე უნდა ჰქონდეს იმას და სხვ. და მხოლოთ შემდეგ შეიძლება ვადის დანიშნვაზე ლაპარაკიო.

ამ საგნის შესახებ რჩევამ, ადგომ-დაჯდომით, ხმის უმეტესობით გარდაწყვიტა: ქალაქის გამგეობასა და ცალკე კომისიას მიენდოს დაწვრილებით პროექტის შედგენა იმაზე—თუ როგორ უნდა გაამაგროს მადათოვის კუნძულის ნაპირები, რა დაჯდება ეს გამაგრება და შემდეგ ეს პროექტი წარმოადგინონ რჩევაში განსახილველად და დასამტკიცებელად.

* * *

ჩვენს ოფიციალურს გაზეთს „კავკაზში“ გამოცხადებულია ტფილისის პოლიციის განკარგულება, რომ, ხელმწიფე იმპერატრიცის მიცვალების გამო, თეატრებში და ცირკში წარმოდგენები და აგრეთვე ევროპიულ და ადგილობრივ მუზიკის დაკვრა ტრაქტირებში, ბაღებში და კლუბებში აღკრძალულია არისო იმ დრომდინ, სანამ ამ საგნის შესახებ ახალი განკარგულება არ გამოიცემა.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, იმ დიდ წვიმას, რომელიც 23 ამ თვეს იყო, ძირულისა და ბეჟათუბნის სტანციებს შუა რამდენსამე ალაგას გზა გაუფუჭებია და ამის გამო მატარებელს ვერ გაუვლია. მეორე დღეს ეს გაფუჭებული გზა მუშებს გაუკეთებიათ და გზა გახსნილა.

ამას გარდა 24 ამ თვეს კასპისა და ქსნის სტანციებს შუა რელსებზე იმდენი კალია მოგროვილა, რომ ვაგონებს ვერ გაუვლია, სანამ რელსები არ გადაუგვიათ.

* * *

## ფელტონი

—

### სხვა-და-სხვა ცნობები თბილისზე.

„ცნობები კავკასიაზე,“ ტ. IV: თბილისის ერთ დღიური აწერა 25 მარტს 1876 წ. (**Сборникъ свѣдѣній о Кавказѣ; т. IV: Тифлисъ по однодневной переписи, произведенной 25 марта 1876 г.**“)

—

ყველა ყვირის ჩვენის ქვეყნის ბუნებით სიმდიდრეზე, ყველას სჯერა, რომ ღირს—კაცმა ის შეისწავლოს, ყველა დარწმუნებულია, რომ ის შეადგენს მდიდარ მასალას როგორც მეცნიერებისა, აგრეთვე საალებ-მიცემო საქმეებისათვის. მაგრამ მეცნიერები ჩვენ არა გვყავს, სხვებს გვეშინიან მივეკაროთ და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყანა ჯერ არ გაგვიცნია, და თუმცა მდიდრები ვართ, სიმდიდრე ვერ გამოგვიყენებია.

ჩვენს სამშობლოზე ცნობებს ვაგროვებთ შემთხვევით: კავკასიის გეოგრაფია ვიცით უფრო ჩვენივე მოგზაურობით; ისტორია გვესმის მოხუც ადამიანების მოთხრობებით.

აი გინდ ავილოთ ეს ცნობებით სავსე წიგნი, რომლის სათაური ზემოთ არის ნაჩვენები. ეს გამოცემაც სწორედ უბრალო შემთხვევის ნაყოფია. 1876 წ. მაშინდელ თბილისის გუბერნატორს ორლოვსკის და ქალაქის რჩევას სდომებიათ დაწესება თბილისში: საიდუმლო პოლიციისა და საადრესო სტოლისა და ყველა სახლებისათვის ცალკე მცველის, ასასის (**дворникъ**) დანიშვნა; ყველა ამისთვის საჭირო იყო ზოგიერთი ცნობები თბილისზე და ამიტომაც გუბერნატორის თაოსნობით შესდგა კომმისია, რომელშიაც სხვა-და-სხვა ჩინოვნიკების გარდა, ითვლებოდნენ თფილისის გაზეთების რედაქტორები და ქალაქის წარმომადგენელი. კომმისიამ გიმნაზისტებს და ზოგიერთ სხვა ახალ-გაზდა კაცებს დაურიგა ფურცლები კითხვებით და გაგზავნ-გამოგზავნა ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში ცნობების მოსაკრებათ. ამ ცნობების კრება დაიბეჭდა ამ წელს თბილისში და შეადგინა ერთი კარგა დიდი წიგნი—სამოც-და-ხუთ თაბახიანი. ცნობების შეკრებაზე დაიხარჯა 12,050 მან. და წიგნის შედგენაზე და დაბეჭვდაზე—4,592 მან. და 60 კ. ფული, როგორც ხედავთ, დახარჯულა კარგა ბლომათ (ამაზე ნაკლებ ფულით ჩვენ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ვალათავდებთ საქართველოს განათლებას).

მაგრამ ამ საქმეს, როგორც ყოველთვის მოუხერხებელს, დაუფიქრებლათ დაწყობილს და გამოუცდელ, უცოდინარ კაცისაგან გამართულ საქმესა ჰსჭირს, ვერ ჰქონდა კარგი ნამყოფი. აწერაში ივიწყებდნენ შუა ქალაქში აშენებულ დიდ სახლებს, და თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, როგორ ასწერდნენ იმ უბნებს, სადაც პაწაწა ქოხები ერთმანეთზეა მიკრული და იმათთან მისასვლელ გზის პოვნა ძლიერ გასაჭირია. აწერლებმა მთელ თბილისში მხოლოთ 28 გურული და 81 მეგრელი იპოვეს და წარმოიდგინეთ, რამდენად უნდა იყვნენ სწორნი და ნამდვილნი დანარჩენ ხალხზე მოკრებილი რიცხვებიც. თითონვე წიგნის გამომცემი—სტატისტიკური კომიტეტი—არა მალავს, რომ ეს ახლად მოკრებილი ცნობები საეჭვონი არიან.

მრთის სიტყვით, ეს წიგნი მეცნიერისა კი არა, ადამის ჟამის კანცელიარიის ნამყოფია.

მაინცა და მაინც ამ, ვეებერთელა წიგნში ვიპოვეთ, მკითხველისათვის რამდენიმე საინტერესო ცნობა, რომლის სინამდვილესაც საეჭვოთ ვერა ვპოვებთ. და აქ გვსურს ეს ცნობები მოკლეთ გარდმოგცეთ.

I

თბილისში 25 მარტს 1876 წ. იყო 66,147 კაცი და 37,877 ქალი, სულ 104,024 სული მცხოვრები.

აქედამ ჰხედავს მკითხველი, რომ ჩვენს ქალაქში თითქმის ორჯერ მეტი კაცია, ვიდრე ქალი. იგივეს ვხედავთ თითქმის ყველა დიდ ქალაქებში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლების გარდა, სხვა ადგილებიდამ მოდიან სამუშაოთ, თავიანთ სამსახურის და სასამართლოს საქმეების გასარიგებლათ და სასწავლებლათ მარტოხელი კაცები. თბილისში უფრო აემა-

კუკიის ხიდ ქვეშ, „ლონდონის“ სასტუმროს პირ-და-პირ და რამდენსამე სხვა ალაგას ეს რამდენიმე დღეა მოგროვილია დიდ-ძალი კალია, რომელიც შავათ არის წყალზე მოფენილი. აუარებელი ჩიტები დასევია ამ კალიას და სჭამენ. ეს კალია, უეჭველია, გასულ პარასკევს რომ დიდი წვიმები იყო იმისაგან არის ხევებიდამ ჩამოლეკილი.

რადგან წყალში კალია დიდ-ხანს არ კვდება (სამი დღეა ხალხი დასჩერებია ხიდიდამ ამ კალიას, რომელიც ამოხტება წყლიდამ და ისევ შიგ ვარდება), რადგან, ვამბობთ, კალია წყალში დიდ-ხანს არ კვდება და შეიძლება აქედამ წაიღოს მდინარემ და სადმე ნაპირზე გამოჰყაროს ცოცხლები, ამის გამო ურიგო არ იქნება, რომ რამდენიმე მუშა გაგზავნონ და დაახოცვინონ როგორმე ეს წყალში და ხიდის ბურჯებზე მოგროვილი კალია.

***

„Голосъ“-ის თბილისელი კორრესპონდენტი გვაცნობებს ორს შემდეგ ახალს, მაგრამ ძველს ამბავს. ყველის გამკეთებელის კუჩუნბახისთვის მიუციათ სამი ათას ექვსასი თუმანი მინის ქარხნის გასამართავად იმ პირობით, რომ იმ ქარხანაში გაკეთებული ბოთლები არამც-და-არამც აბაზ ნაკლებ არ გაჰყიდოს.

ჩვენში საფრანგეთიდამ მოტანილი საუკეთესო ბოთლები სამ-სამ შაურათ ისყიდება.

აქაურის თეატრის ანტრეპრენიორის პალმისთვის უსესხებიათ სამასი თუმანი, რადგან იმის საქმეები ძალიან ცუდათ მიდიანო.

ნეტა კი ვიცოდეთ—რამდენის თუმნის სესხება კიდევ დასჭირდებოდა ბ. პალმს ამ ზამთარს ქართველებსა და სომხებს თითო წარმოდგენაში ოც-ოცი თუმანი რომ არ ეძლიათ?!

ჩვენც ჩვენის მხრივ გავიგონეთ, რომ ამ ბ. პალმს თეატრის დახურვის წინეთ უთხოვნია, ასესხონ ათას რვაასი თუმანი. მისცეს თუ არა, არ ვიცით; ჭკუაზედ ახლოს კია, რომ თეატრის დახურვის გამო ეს ფული სუფსიდიათ ეწყალობოს.

მართალი გამოდგება ეს ამბავი, თუ არა, მალე შევატყობინებთ მკითხველს.

***

თელავიდამ გვწერენ, რომ იქაურს კლუბში მეტათ ცუდათ და უწესოთ მიდის საქმეო. კლუბის მმართველის კანდიდატათ დაუნიშნავთ კლუბისავე არენდატორი, რომელმაც ერთსა და იმავე დროს თავის ინტერესებზედ და კლუბისაზედ უნდა იზრუნოს და ესენი კი ერთმანერთის წინააღმდეგნი არიანო.

ბიბლიოთეკა ისეა მოწყობილი, რომ შიგ კითხვა შეუძლებელია და საკითხავიც ბევრი არა არის-რაო.

წესდების შესრულებას ყურს არავინ უგდებს; მაგ. თუმცა დანიშნულს დროზედ მეტს ვინც დარჩება, ჯარიმა უნდა გადიხადონ, მაგრამ მაინც გათენებამდის ხშირათ მოისმის სიმღერის და ლოთობის ხმაურობა და ჯარიმის გადამხდელი კი არავინ არისო.

***

ჩვენს ხალხს ერთი ახალი ღონე კიდევ მოუგონია კალიის გასაქლეტათ. სადაც ყამირზედ კალია არის, იქ რამდენსამე ფარცხს თურმე შეაბმენ, ზედ ხალხი დგება, ქვებს აყრის და ისე რამდენჯერმე შემოატარებენ კალიისაგან დაჭერილს მაედანზედო. ამბობენ, ეს ღონე კარგი გამოდგაო.

***

თელავიდგან მოვიდა ამბავი, რომ იქაურ მაზრის უფროსს მოქალაქეებიც გაურეკნია კალიის ბეგარაზე. სიღნაღელებს ძრიელ ეშინიანთო, რომ ჩვენც არ მოგვცენ ხელში ბარი და ნიჩაბიო; ამბობენ, აქაური უფროსიც აპირებს სიღნაღელების ბეგარაზე გარეკვას. ურიგო არ იქნება...

***

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი შენიშვნა:

„24 ამ თვისას დავესწარ შემდეგ სამწუხარო შემთხვევას:

„თფილისის რკინის გზის საწყობში რვაიოდე გლეხი-კაცი ღილმიდგან თ. ივანე მუხრანსკის ნაყმევნი უდებდნენ თავიანთ ურმებზედ ქირას. რაღაცა მიზეზისა გამო ამ უბედურებს რკინის გზის საწყობის მუშებმა აუტეხეს აყალმაყალი და კეტებით რკინის გზის ჟანდარმის ბელადობით გამოუდგნენ ცემა-ტყეპით ასე, რომ რაოდენსამე გლეხს თავ-პირი დაამტვრიეს სიკვდილამდე. ამათი ქომაგი არავინ იყო, თვინიერ ერთის პირისა, (მგონი ეს იყო გამომძიებელი), რომელმაც წინდაუხედავი ბელადი შეაყენა და გამოუცხადა, რომ მას შეეჩერებინა ულმერთო და მხეცური მოქმედება. ბელადი და ამისაგან წაქეზებულნი კრუები შედგნენ, მაგრამ საწყალი გლეხების მდგომარეობა კი საშინელ სურათს წარმოადგენდა; თავ-პირ დამტვრეულნი და სისხლში ამოსვრილნი ამასლა იმეორებდნენ: „რაზედ დაგვხოცეს ამ ულთოებმა! ე რა უსამართლობაა!!.. ზვიშველნეთ ხალხნო, კაცნი არა ხართ!?“

„იმედია, რომ ამ უწესობას და უსამართლობას მიაქცევს ყურადღებას ვისის რიგია.“

***

ჩვენ მივიღეთ კიდევ მეტეხის სატუსაღო ბიბლიოთეკისათვის შემდეგი ქართული და რუსული წიგნები ი. ახალშენოვისაგან:

ავაზაკნი (დრამმა ანტ. ფურცელაძისა), ბარამიანი, ღავრიშიანი, ვახტანგ მეექვსე, ვაი ჭკუისაგან (კომ. გრიბოედოვისა), სიყვარული (ლექსი ჯულელისა), ივავ-არაკნი, კრილოვის ზღაპრები (თარგმ. რაფ. ერისთვისა) არაკნი (იმისივე, თარგმ. მ. ბებუთოვისა), ალექსანდრე ორბელიანის ნაწერი, სისხლის ძიება (პოემა), ლექსიკონი ფსალმუნთა, თამარ მეფის და მისის მეუღლის შესხმა (2 ეგზ.), მოქალაქე ღაბაღ ღალო, ბუნების კარი — თითო ეგზემპლიარი; **О концѣ добрыхъ дѣлъ** 3 ეგზ., **Благая вѣсть** 3 ეგზ., **Чему учитъ св. Писаніе?** —3 ეგზ., **Молишься-ли ты?**— 2 ეგზ., **Кацхскій соборъ**— პლ. იოსელიანისა—3 ეგზ. სულ 30 წიგნი.

---

რედაქციისაგან დამოუკიდებელის მიზეზით გუშინდელი წინა-სტატია სრულად ვერ დაიბეჭდა.

---

## ქუთაისის საქალებო გიმნაზია.

იმერთში, სადაც ამ ოცი-ოც-და-ათი წლის წინეთ უმეტესობას დიდათ არაფლათ მიაჩდა(?) სწავლა და განათლება, სადაც გვაროვნობას და შთამომავლობას ჰქონდა უპირატესობა სწავლაზე და განათლებაზე, სადაც, კრილოვის ბატების არ იყოს საქადულოთ მიაჩდათ მხოლოდ თავიანთი წინაპართ განთქმულობა, ეხლა იმ დროს მოვესწართ, რომ გაიგეს სწავლის და განათლების მნიშვნელობა და მისი მიუცილებელი აჭიროება. გაიგეს რომ კაცისათვის გვარიშვილობაც და დიდ-კაცობაც მხოლოდ სწავლა ყოფილა; გაიგეს რომ თუ კაცი გონება შეუმუშავებელია იმისთვის გვარიშვილობაც და შთამამავლობაც უსარგებლოა.

---

ტება კაცების რიცხვი ქალების რიცხვს იმიტომაც, რომ აქ ძრიელ ბევრი ჯარია—12,000 კაცზე მეტი.

ზემოხსენებულ 104,024 მცხოვრებში 87,08 პროცენტი რუსი-ქართველი და სომეხია, და დანარჩენი 12,92%-ს შეადგენენ სხვა ხალხები.

თბილისში ყველაზე მეტი სომეხია —37,610 კაცი; ამათ შემდეგ რუსი—30,813, (ამათში 10,615 სალდათი) და ბოლოს ქართველი— 23,263. სხვა ხალხებისაგან: თათრები—2,186; ნემეცები—2,005; სპარსელები—1,692; პოლშელები—1,592; ურიები— 1,145; ბერძნები — 388; ოსები—293; ფრანცუზები—267 და იტალიანელები—163.

ზეზოხსენებულ 23,263 ქართველში: 22,156 თბილისის გუბერნიის ქართველია, 1,233 იმერელია.

ეხლა შევადაროთ 1854 წელს მოგროვილი რიცხვები უკანასკნელ დროინდელ რიცხვებს და ვნახავთ, რომ ყველაზე მეტად გამრავლებულან:

1) ბერძნები (226 პროც.).
2) სპარსელები (219 პროც.).
3) ურიები (168 პრ.).
4) თათრები (129 პრ.).
5) პოლშელები (67 პრ.).
6) რუსები (59 პრ.).
7) ქართველები (44 პრ.).
8) სომხები (30 პრ.).

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1864 წლის რიცხვები თვით მმართებლობამ შეშცდარათ იცნო, და ამიტომაც ძნელია ნამდვილად გავება, რა ხალხი რაოდენად გამრავლდა თბილისში ამ უკანაკნელს დროს.

ზემოხსენებული რიცხვები, რომ გადაათვალიეროს უცხო კაცმა, თბილისში არ ნამყოფმა, ვერ გაიგებს ეს ქალაქი რა ხალხის ქალაქია; აქ არეულია რუსი, ქართველი და სომეხი, და რომელ ამ ხალხთაგანს ეკუთვნის უფრო მეტად ეს ქალაქი— უცხოსთვის ძნელი გასაგებია. ჩვენ შეგვიძლიან დარწმუნებით ვთქვათ, რომ თბილისი ყველაზედ მეტად ქართული ქალაქია, თუმც უმეტესობა მცხოვრებლებში ეკუთვნის სომხებს და რუსებს. ვამბობთ ამას იმიტომ, რომ უმეტესი ნაწილი თბილისელ სომხებისა ლაპარაკობს ყოველთვის შინ და გარეთ ქართულად და არა სომხურათ, რადგან სომხური ენა ან სულ არ იციან, ან ძრიელ ცუდათ იცის და ნახევრად გაქართველებული აქვს. რაც შეეხება რუსებს, იმათგან 10,615 სალდათი უნდა გამოვრიცხოთ, რადგან ისინი დროებით დგანან ხოლმე ქალაქის ახლო და ქალაქის მცხოვრებლად ვერ ჩაითვლებიან. ამას გარდა ჩვენში გაქართველებულ რუსს უფრო ხშირად ვხედავთ, ვიდრე გარუსებულ ქართველს, რადგან ბევრს რუსთაგანს ჰყავს ქართველი ქალი ცოლათ და შვილები, დედის გავლენის გამო, უფრო ქართველები გამოდიან, ვიდრე რუსები.

### II

განათლებაში თბილისი ბევრად ჩამოუვარდება არამც თუ ევროპიულ ქალაქებს, არამედ რუსეთის ქალაქებსაც. ას კაცში იცის წერა-კითხვა:

| | | |
|---|---|---|
| რეველში — — — — | 64 | კაცმა |
| პეტერბურღში — — — | 55 | „ |
| კიევში — — — — — | 44 | „ |
| მოსკოვში — — — — | 43 | „ |
| თბილისში — — — — | 38 | „ |

თფილისში ას რუსში იცის

| | | |
|---|---|---|
| წერა-კითხვა — — — — | 48 | კაცმა |
| ას ქართველში — — — | 32 | „ |
| ას სომეხში — — — — | 30 | „ |

სომხებში და ქართველებში მოიპოება ასე ცოტა მცოდნე წერა-კითხვისა—იმიტომ რომ უმეტესი ნაწილი იმათგანი შეადგენს დაბალ, მუშა და წვრიმალ მოვაჭრე ხალხს.

სხვა-და-სხვა წოდებაში შემდეგ-გვარად არის გავრცელებული წერა-კითხვის ცოდნა: წერა-კითხვა იცის ას კაცში:

| | | |
|---|---|---|
| თავად-აზნაურებში — | 69 | კაცმა |
| ბეგებში — — — — — | 64 | „ |
| სამხედ. სამსახურის კაცებში | 63 | „ |
| სასულიერო წოდებაში — | 63 | „ |
| მოქალაქეებში და ვაჭრებში | 58 | „ |
| სალდათებში — — — — | 53 | „ |
| სამსახურიდამ გამოსულ სალდათებში — — — — | 40 | „ |
| გლეხებში — — — — | 23 | „ |

რუსული ენა იცის ას კაცში

| | | |
|---|---|---|
| ქართველებში — — — | 25 | კაცმა |
| სომხებში — — — — | 22 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაიგეს და დაიწყეს თავის შვილების სასწავლებელში მიცემა.

უწინდელ დროში, როგორც გამიგონია, იმერეთშიაც და ქართლ-კახეთშიაც პირ-იქით აძლევდა მთავრობა ჯილდოს, ოღონდ სასწავლებელში შესულიყვნენ! მაგრამ ძლიერ იშვიათათ ჩნდებოდნენ მსურველნი. ეხლა კი ყველამ დაინახა რომ განათლება და სწავლა ისეთი სიმდიდრე ყოფილა, რომელიც მათ სიმდიდრეს ათას-ჯერ სჯობდა, და უფრო მეტათ თხოულობენ სწავლას. სასწავლებლებში ყმაწვილების მიღების დროს ყველა ცდილობს მოასწროს ვაკანსიის დაჭერა თავის შვილისათვის და ბევრიც რჩება მიუღებელი.

ეს ხალხის გაღვიძება და გონზე მოსვლა დიდ იმედათ და სასიხარულოთ მიგვაჩნიათ ჩვენის ქვეყნისათვის; მაგრამ, სამწუხაროთ, მგონი ჩვენი მშობლები ისევ ძველ შეხედულობას დაუბრუნდნენ სწავლაზე!.. ეს გარემოება ყურადღების მისაქცევია.

მართლაც ვერ გავამტყუნებთ ჩვენს მშობლებს: იმათ იმიტომ კი არ შეჰყავთ თავიანთი შვილები სასწავლებელში, რომ სწავლისა და განათლების მაგიერ, სასწავლებელთ ზედამხედველების დაუდევნელობისა და უყურადღებობის წყალობით, ის შვილები ცივმა საფლავმა მიიღოს..

უფრო გარკვევით მოგახსენებთ: ერთი შესანიშნავი მაგალითი მოხდა ამ მოკლე ხანში თფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის შაგირდის რაჟდენ ლოლობერიძის სიკვდილი. როგორც დავრწმუნდით, ის ბავშვი ზედამხედველების დაუდევნელობით მოკვდა. შევიტყვეთ, რომ მთავრობა ამის გამოძიებას შეუდგა და დაუსჯელათ არ დასტოვებს დამნაშავესო.

რამდენათ ლოლობერიძის სიკვდილმა შეგვაწუხა, იმდენათ მთავრობისაგან ამ გვარ შეპირებამ გაგვახარა.

ჩვენ გვეგონა, რომ, თუმცა ერთი ახალგაზდა მოგვაკლო უყურადღებობამ, მაგრამ შემდეგისთვის მაინც მოისპობა ამგვარი უწესოება სასწავლებლებში და ამით ბევრი ყმაწვილი გადარჩებოდა უდროვოთ სიკვდილს. მაგრამ სამწუხაროთ, არავითარი მნიშნელობა არ იქონია ამ საქმემ სხვა სასწავლებლების ზედამხედველებზე.

ამისთანავე სამწუხარო შემთხვევა მოხდა ჩვენს ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში ამ დღეებში.

ამ გიმნაზიაში ყავდა ქუთაისის მცხოვრებს აზნაურ დავით კანდელაკს თერთმეტი წლის ქალი. მაისის დამდეგს იმ ბავშვს შეეჩივლა ზედამხედველ ქალისთვის, თავი მტკივა და საავათმყოფოში გამიშვიო. იმ ქალს გაეგდო ის და ეთქვა: შენ ზარმაცი ხარ და იმიტომ იგონებ ავათმყოფობასაო. ბავშვს ბევრი ეტირა, მაგრამ არავის არ მიექცია ყურადღება. ამნაირად რამდენიმე ხანს წვალებულიყო ბავშვი.

მერმე შესულიყო მამა მისი და ენახა, რომ ბავშვს თავში ანთება ავარდნოდა და უგონოთ ეგდო. დიდის წვალებით, ვაივაგლახით და ხვეწნით გაატანეს მამას შვილი სახლში. მიიყვანეს სახლში თუ არა, დაასია ექიმები, მაგრამ გვიან იყო: მეორე დღეს გარდაიცვალა საცოდავი.

ამისთანა შემთხვევა მოუხდა ამავე სასწავლებელში სამი თუ ხუთი წლის წინეთ მაქსიმე ზაზაშვილის ქალს. ესეც უყურადღებობით მოკლეს. მოკლეს მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ გაკვეთილის დროს ზიზიკოვის ქალმა მასწავლებელმა, მიახალა ის ბავშვი სტოლს გულით იმნაირათ, რომ მაშინათვე სისხლის საქმება დაუწყო პირიდგან; და როდესაც იმ სალამოსვე საავათმყოფოში დაწვა, ადამიანი არ ჰყავდა, რომ ყური ეგდო; მშობლებს და ნათესავებს უშლიდნენ იქ სიარულს სახლშიაც არ გაატანეს, და ყმაწვილი მოკვდა. აი ამისთანა საქმე შერჩათ ამ სასწავლებლის ზედამხედველებს იმ ბავშვის მშობლების დაუდევნელობით.

თუ ამაზე არ მიაქცია მთავრობამ სასტიკი ყურადღება და მკაცრი გამოძიება არ დანიშნა, უეჭველია, ბევრი მშობლები დაშინდება და აღარ მისცემენ შვილებს ამ გიმნაზიაში.

ალ. გამრეკელი.

ქუთაისი, 19 მაისს.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები** ინგლისურს გაზეთ „*Daily News*“-ი ამბობს- გენერალი სკობელიევი ჩიქიშლიარში მისულა. რუსეთის ჯარი თურქესტანისკენ გალაშკრებას აპირებს.

—

იტალიის პარლამენტის გახსნის დროს იტალიის ხემწიფეს თვითონვე წარმოუთქვამს სიტყვა, სხვათა შორის იმას უთქვამს დეპუტატებისათვის: „ჩემი მმართებლობა თქვენ მოგიწვევთ რომ საფქვავზედ ხარჯი მოსპოთ როგორმე და სხვა ღონე იპოვოთ სახემწიფოს შემოსავალ-გასავლის თავის წესზედ დაყენებისა.

„თქვენ უნდა გასაჯოთ აგრეთვე კანონის პროექტი არჩევის უფლების გავრცელებაზედ. რაც უფრო მეტათ იქნება გავრცელებული ეს უფლება, იმდენათ უფრო თავისუფლათ გამოითქმება მთელის ხალხის სურვილი, რომლის აღმსრულებელი მე ვარ.

„მე ვეცდები რომ სხვა სახემწიფოებთან ერთათ აღვასრულოთ ბერლინის კონგრესის განაჩენი და მშვიდობიანობა დავამყაროთ.

„იტალიაც ამას მოელის, იტალია, რომელსაც კარგათ მოუხდა ევროპის სახემწიფოების თანხმობა და რომელსაცა აქვს უფლება წარმატებისა გამოვლილის ტანჯვის და თვისის დიდებულის ისტორიისა.“

დეპუტატებმა ეს სიტყვა ხანგრძლივის ტაშის კვრით მიიღეს და ხალხმა აღტაცებით გააცილა ხემწიფე და იმისი სახლობა მის სასახლემდე.

—

ბერლინის კონგრესსის ძალით ერთი ნაწილი ალბანიისა უნდა ჩერნეგორიას და საბერძნეთს ერგოს. ეხლა აპირებენ ამ განაჩენის აღსრულებას მაგრამ ალბანიელნი მეტათ უარზედა დგანან და ამბობენ ჩვენის ცოცხალის თავით საბერძნეთსა და ჩერნეგორიას ჩვენს ქვეყანას ვერ დავანებებთო. იმათ ამოურჩევიათ ლიგა, რომელიც ეხლა დროებით მათ საქმეებს განაგებს. ოსმალეთის მმართებლობას ეს ამბავი თუმცა ძალიან ესიამოვნება, მაგრამ ენით კი ვერ გამოსთქვამს, ევროპის სახემწიფოებს ერიდება.

ალბანიელებს დეპუტაცია გაუგზავნია გლადსტონთან, ულოცვენ პირველს მინისტრობას და სთხოვენ მათს ბედში მონაწილეობა მიიღოს რამე. უეჭველია, გლოდსტონი ამ თხოვნას ვერ შეასრულებს, რადგან პირველი იმისი სიტყვა იყო. „ბერლინის კონგრესის განაჩენი უნდა აღსრულდესო და ეს თხოვნა ალბანიელთა ამ განაჩენს ეწინააღმდეგება.

—

ერთს ინგლისურს გაზეთს დეპეშა მისვლია ბერლინიდამ, რომელიც აცნობებს,რომ გერმანიის მთავრობა თანახმა გახდება კონფერენცია ბერლინ-

---

თათრებში — — — — 15 ,,
სპარსელებში— — — — 2 ,,

სულ ქალაქში რუსულათ მოლაპარაკე 46,696 კაცია; 52,844 კი არ იცის რუსული ენა; დანარჩენებზე კი ცნობები არ არის შეგროვილი.

1876 წ. თბილისში ითვლებოდა 66 სასწავლებელი, ამათში 36 სავაჟო და 20 საქალებო. სწავლობდა 5,548 ყმაწვილი.

თბილისელების რიცხვი რომ ავიღოთ უ-ჯარებოთ, ას კაცზე მოვა ექვსი მოსწავლე. ხუთ ყმაწვილში (7—20 წლ.) სწავლობს მხოლოდ ერთი ყმაწვილი. ეს რიცხვები რომ შევადაროთ საზოგადოთ კავკასიის შესახებ მოკრებილ რიცხვებს, რასაკვირველია დავრწმუნდებით, რომ თბილისში უფრო მეტათ არის გავრცელებული განათლება, ვიდრე კავკასიის სხვა ადგილებში; რადგან საზოგადოთ კავკასიაში ერთ მოსწავლეზე მოდის 71 სული, რომელიც არა სწავლობს. მაგრამ ევროპასთან რომ შევადაროთ, თბილისი შერცხვება. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, აქ ხუთ ყმაწვილში (7—20 წლ.) მხოლოდ ერთი სწავლობს, ევროპაში კი ხუთ ყმაწვილში სწავლობს სამი უეჭველათ მაინც.

თბილისში პირველ-დაწყებითი სწავლისთვის პატარა შკოლა არის—51, სწავლობს 2,572 სული.

გიმნაზიები და სხვა საშუალო სასწავლებლები—15, სწავლობს 2,976 სული.

| ამათში: | | სწავლობს სული |
|---|---|---|
| მმართებლობის სასწავლებელი | — 11, | — 2,239 |
| საზოგადოებისა | — 9, | — 540 |
| საეკლესიო — | — 24, | — 1,357 |
| კერძო — — | — 9, | — 584 |
| სამხედრო — | — 3, | — 317 |
| შეერთებული საეკლესიო და კერძო (უფრო სომხებისა) | — 10, | — 541 |
| სულ | — 66 სასწ. | 5,548 |

## III

რას აკეთებენ თბილისელები? რით ირჩენენ თავს?

თითქმის ნახევარი იმათგანი სხვის ხარჯით სცხოვრობს (48,437). ამათში დიდი უმრავლესობას შეადგენენ ყმაწვილები და ქალები. მეტად უსაქმო ქალები ბევრნი არიან. იმათში მხოლოდ ერთი მეშვიდედი ნაწილი თავის შრომით ირჩენს თავს; დანარჩენები კი სხვის პურსა სჭამენ.

კავკაში ყველაზე მეტათ სამხედრო სამსახურია გავრცელებული: იმათში თითქმის მეოთხედი ნაწილი ითვლება ჯარებში (14,914). ჯარზე ნაკლებათ არიან ხელოსნები და ფაბრიკებში მომუშავე ხალხი, ე. ი ის ხალხი, რომელიც მხოლოდ, ეკონომისტების აზრით, ჩაითვლება მწარმოებლებათ. ჯარს რო დავუმატოთ დიდ-ძალი რიცხვი თბილისელ ვაჭრებისა, 8,000 კაცზე მეტი, გამოჩნდება, რომ თბილისის საზოგადო სიკეთისათვის ცოტად არის სასარგებლო. იმდენ უსარგებლო ხალხს ვერსად ვერ ვნახავთ, როგორც თბილისში. სხვა ქალაქებში ქალები და ყმაწვილებიც კი თავის შრომით სცხოვრობენ, ჯარები და ვაჭრებიც ისეთს დიდ ნაწილს არ შეადგენენ როგორც თბილისში. აი, მაგალითად, გინდ პეტერბურღი ავიღოთ. იქ მცხოვრები ექვსჯერ მეტია, ვიდრე თბილისში, სავაჭრო სახლები კი იქ სამჯერ არც კია მეტი თბილისზე; ასე რომ თითო პეტერბურღის სავაჭრო სახლზე მოდის 94 მუშტარი, თბილისის სავაჭრო სახლზე კი მოდის მხოლოდ 43 მუშტარი.

თუ იკითხავთ — რომელი ხალხი რომელ ხელობას მიჰყვებაო, რუსები უფრო სახელმწიფო სამსახურს მისდევენ, სომხები—ვაჭრობას და ხელოსნობას და ქართველები ხელოსნობას და სამსახურს სხვა-და-სხვა ადგილებში.

რაკი აქ ხელობაზე დავიწყეთ ლაპარაკი, იქნება ისიც იკითხოთ, რამდენია თბილისში ლიტერატორი და მეცნიერი. მაგრამ ამის გასაგებათ წიგნის გადაშლა საჭირო არ არის; უიმისოთაც შეგიძლიანთ თითით დათვალოთ ამ გვარი კაცები. ერთი, ორი, სამი, ოთხი... მეხუთე, არა მგონია, რომ იყოს ჩვენში.

გ. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში შეიყაროს ოსმალეთის საქმეებზედ მოსალაპარაკებლათ, თუ კონფერენციის პროგრამმა წარმომადგენელთა შეკრებამდე იქნება შედგენილი და თუ, ეინიცობაა ოსმალეთის საქმეების გაწყობა იარაღით დასჭირდებათ, ყველა სახემწიფო რომლის წარმომადგენელიც კი ბერლინის კონგრესზედ დაესწრება, მიიღებს მონაწილეობას და არამცა და არამც ცალკე არავის მიანდობს იარაღით გარევას ოსმალეთის სექმეებში.

—

ამ ცოტას ხანში ინგლისში ერთს შესანიშნავს პირს სერ ჰარკურს წარმოუთქვამს სიტყვა ამომრჩეველთა წინ და უთქვამს შემდეგი:

„ტყუილია კონსერვატორებისაგან „თქმული რომ ვითომც ეხლანდელი „ლიბერალების სამინისტრო უწინ„დელის კაბინეტის კვალს მისდევ„დეს შესახებ გარეშე პოლიტიკისა. „ბიკონსფილდის მმართებლობა იმას კი „არა სცდილობდა, შეერთებოდა ევ„როპას და ოსმალეთში რეფორმები „მოეხდინა, ისა სცდილობდა დიდ „სახემწიფოთ შორის შური და მტრო„ბა ჩამოეგდო. ეხლანდელი მმართვე„ლობა კი იმასა ცდილობს, რომ „მთელს ევროპას შეუერთდეს და „ოსმალეთის წყობილება გააუმჯობე„სოს."

—

„*Temps*"-სა სწერენ, რომ ვიდრე კონფერენცია შეიყრებოდეს ოსმალეთის საქმეებზედ მოსალაპარაკებლათ ევროპის დიდ სახემწიფოთ ელჩნი პორტას წარუდგენენ ნოტას რომელშიაც ყველა სახემწიფოების სურვილი იქნება გამოცხადებული ოსმალეთში რეფორმების მოხდენაზედ.

ოსმალეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ თუ ევროპა გაერია იარაღით ჩვენს საქმეში, შეიძლება მუსულმანები აჯანყდნენ და ქრისტიანებს ცუდი დღე დააყენონო.

—

მას აქეთ რაც ლიბერალებმა ინგლისში გაიმარჯვეს ავღანისტანის საქმეები თითქო დაშოშმანდენ. ინგლისს გაუგზავნია დეპუტაცია აბდურრახმანისათვის და ემირობა უძლევია, მაგრამ აბდურახმანს უპასუხნია: ჯერ სხვა და სხვა ავღანისტანის ხალხთა წინამძღოლებს უნდა დაველაპარაკო და მასუკან შეგატყობინებთ სწორე პასუხსაო.

—

პარიჟში შემდგარა „დემოკრატიული საზოგადოება კლერიკალების წინაამდეგი", რომელსაც თავებათ ვიკტორ ჰიუგო, გარიბალდი და ლუი-ბლანი ჰყავს. ამ საზოგადოების განზრახვა არის თურმე კლერიკალებს წინაამდეგობა გაუწიოს და თავისუფალი აზრები გაავრცელოს ხალხში.

—

# განცხადებანი

—

დაიბეჭდა და ისყიდება VI ტომი

„ცნობათა კრებისა კავკაზიაზედ"

გამოცემა კავკასიის სტატისტიკოს კომიტეტისა.

ამ წიგნის შინაარსია:

„თბილისის ერთ-დღიური აღწერა 25 მარტს 1876 წ."

სულ არის 570 გვერდი *in* 4, 19-ს დამატებით, სახელდობრ:

1) 15 ლიტოგრაფიული დახაზული ტაბლიცები.

2) 2 პლანი თბილისისა შარდენისა 1671 წ.) და ტურნეფორისა (1701 წ.)

3) კოპიო თბილისის პლანისა შედგენილი მეფის ძის ვახუშტისაგან.

4) ეხლანდელის თბილისის პლანი.

ეს წიგნი ისყიდება შემდეგ წიგნების მაღაზიაში: ბერენშტამთან, კავკაზიის წიგნის სავაჭროში, ცენტრალურს წიგნის სავაჭროში. ფასი 4 მანეთი. ვისაც დაბარება სურს ფოჩტით, ხუთი გირვანქის გაგზავნის ფასი გამოგზავნოს.

(4—1)

---

## ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა 1880 წლის 1 ივნისიდამ მიეცემა ქირით ორი მაღაზია ერთად ანუ ცალ-ცალკე, ქალაქის სახლში, საპიორისა და პატარა ვოდოვოზნის ქუჩების კუთხეში.

დაწვრილებით პირობებისა და ფასის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში (უპრავაში) მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—1)

---

**იაგორ კასუმოვის** და კამპ. კანტორაში ისყიდება დაბეჭდილი კონტრაქტები (პირობა) სახლის, დუქნების, მაღაზიების, ცარიელ ადგილების და სხ. ქირაობაზედ.

თითო ამ გვარი კანტრაქტის ფურცელი ღირს **შაურად.**

(10—1)

---

**იყიდება** არწრუნის ქარვასლაში ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი: პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოდნოსები, გასაღებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-დაპირ კიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—25)

---

ჩ ა ი! ჩ ა ი! ჩ ა ი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა, უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?—არწრუნის ქარვასლაში.

(20—3)

---

### ისყიდება

### რქიანი საქონელი

14 ძროხა, 1 კამბეჩი, 5 ხარი და 13 ხბო.

ფასის შეტყობა შეიძლება სამხედრო ოლქის სასამართლოს იქით, არტილერიის ქუჩაზე, სტანიშევსკის სახლში, № 23, ჰკითხეთ მზარეულს სოლომანას.

(3—3)

---

**პარუსინა,** ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**მურაბა** გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში.**

(40—3)

---

თფილისის ოკრუჟნის სუდის მეექვსე დროებითს განყოფილებაში ქ. თელავში არიან დანიშნული მოსასმენელად შემდგომნი საქმენი:

1.) 3 **თიბათვეს,** — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **ქვემო-ხოდაშნის** მამულების გამიჯვნის დროსა;

2.) 10 **თიბათვეს,** — იმ დავებისა, რომელიც აღმოჩნდნენ სოფლის **ბუშატის** მამულების გამიჯვნის დროსა;

3.) 12 **თიბათვეს,** — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **განთის** მამულების გამიჯვნის დროსა

4.) 14 **თიბათვის,** — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **აკურის** მამულების გამიჯვნის დროსა;

5.) 17 **თიბათვეს,** — იმ დავებისა, რომლებიც ამღმოჩნდნენ სოფლის **რჩეულეთის** (იგივე არის **ბოსტანა**) და **ხორხელის** მამულების გამიჯვნის დროსა;

6.) 19 **თიბათვის,** — იმ დავებისა რომლე- ბიც აღმოჩნდნენ სოფლის **ალმატის** მამულების გაყოფის დროსა;

7.) 23 **თიბათვეს,** — იმ დავებისა რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის ვაჩნაძიანის მამულები გამიჯვნის დროსა.

(3—3)

---

სავაჭრო სახლი

## იაგორ კასუმოვი და ამხ.

ამით აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელნიც „სავაჭრო სახლში" შესანახავად ფულს შემოიტანენ, დღეის შემდეგ ახალ გამოცხადებამდინ,

აძლევს:

1) მიმდინარე ანგარიშით (ტეკუშჩი სჩოტით) შეტანილს ფულზედ:

| | | | |
|---|---|---|---|
| უპირობოთ და პირობით | — — — — — | | $4^1/_2$% |
| მოთხოვნამდინ | — — — | | $4^1/_2$% |
| 2) ვადით შეტანილს ფულზე: | 6 თვით | — — | 6% |
| | 9 თვით | — — | $6^1/_2$% |
| | 1 წლით | — — | $7^1/_2$% |
| | $1^1/_2$ წლით | — — | 8% |
| | 2 და მეტი წლით | | $8^1/_2$% |

3) სპეციალურ შეტანილ ფულებზედ 1 ხარისხის პაისჩიკებს—9%

ფულის გასესხების დროს „სავაჭრო სახლი" ახდევინებს:

| | |
|---|---|
| იმ სესხზედ, რომელიც თვეობით უნდა იქნეს გარდახდილი | 10% |
| კვირაობით გარდასახდელ სესხზე — — | 9% |

სავაჭრო სახლის კანტორა იმყოფება ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვების სახლში. შესანახავად მიტანილ ფულის მისაღებად და ადებულის ვალის შემოსატანად კანტორა ღიაა მუდამ დღე დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ; უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ 10-მდინ.

(10—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი